სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**არქეოლოგია / Archaeology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	არქეოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Archaeology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	კრედიტების მოცულობა: 180 ECTS კრედიტი სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ 6 სემესტრისა · **55 ECTS კრედიტი** ეთმობა **ჰუმანიტარული კომპეტენციების საბაზისო სასწავლო კურსებს** (მათ შორის 15 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, როგორც სასპეციალიზაციო პროგრამიდან, ისე მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის, დამატებითი უცხოური ენა). · **125 ECTS კრედიტი** განკუთვნილია **სწავლების ძირითადი სფეროს** სასწავლო კურსებისთვის; მათ შორის 10 ECTS კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**ზვიად კვიციანი** ასოცირებული პროფესორი +995 599 96 59 95 zviad.kvitsiani@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვოს კურსდამთავრებული საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული არქეოლოგიის დარგის ფართო საბაზო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით არქეოლოგიაში, რათა მას საფუძვლიანად ჰქონდეს ათვისებული და გააზრებული: 1. არქეოლოგიის დარგის არსი, მისი თეორიული საფუძვლები და საველე პრაქტიკის სპეციფიკა; 2. არქეოლოგიური პერიოდიზაცია და თითოეული არქეოლოგიური ეპოქის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები; 3. მსოფლიოს არქეოლოგიური კულტურები; 4. სამუზეუმო საქმიანობა, არქეოლოგიური ფონდების ინვენტარიზაცია, შედარება-დადარების პროცესი და არტეფაქტების აღწერა. 5. ცივილიზაციათა კულტურულ-ისტორიულ ჭრილში კავკასიის რეგიონის, განსაკუთრებით კი, საქართველოს ტერიტორიის და მისი მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა; 6. სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო მნიშვნელობა ეთნო-კულტურულ და ისტორიულ ჭრილში.
სწავლის შედეგები	არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე არქეოლოგიის ბაკალავრს გააჩნია საქართველოს, კავკასიისა და მიმდებარე რეგიონების არქეოლოგიური კულტურების და კულტურული მემკვიდრეობის საბაზისო ცოდნა.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული • მიმოიხილავს და აღწერს არქეოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებს, თეორიებს და კვლევის მეთოდებს; • ჩამოთვლის არქეოლოგიური პერიოდიზაციის ყველა ეტაპს და აღწერს თითოეული ეპოქის დამახასიათებელ ძირითად თავისებურებებს; • აღწერს სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში მომხდარი პროცესებს, განმარტავს მატერიალურ კულტურაში ფიქსირებული თავისებურებებს; გამოყოფს არტეფაქტებთან და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან

	დაკავშირებული პრობლემებს; • ახდენს საკითხის იდენტიფიცირებას და ინტერპრეტირებას სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ-ისტორიულ ჭრილში. • სათანადო კონტექსტში იაზრებს და აფასებს სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.
ბ) უნარები	**კურსდამთავრებული** • განიხილავს თანამედროვე სტანდარტებს საველე და ლაბორატორიული გამოკვლევების წარმოებისას; • აანალიზებს სამუზეუმო და არქეოლოგიურ ფონდებზე მუშაობის სპეციფიკას; • ახდენს კონკრეტული არქეოლოგიური კომპლექსების კულტურულ და ქრონოლოგიურ ატრიბუციას; • განიხილავს კონკრეტულ არქეოლოგიურ კულტურებს და მათი განვითარების ძირითად მახასიათებლებს წამყვან ნიშანთა ჩვენებით; • ახდენს დარგობრივი პრობლემების აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებას და მათ მისადაგებას პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებთან; • კონკრეტული საკითხის განხილვისას ოპერირებს არქეოლოგიური ტერმინებითა და ცნებებით. • არქეოლოგიის დარგში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისას ამჟღავნებს კრიტიკული აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**კურსდამთავრებული** • აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას და სათანადოდ იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, აკადემიურ და ეთიკურ ნორმებს. • აფასებს კულტურულ მრავალფეროვნებას; • აცნობიერებს არქეოლოგიური ძეგლების/არტეფაქტების მნიშვნელობას და მათზე ზრუნვის აუცილებლობას;
სწავლება-სწავლის მეთოდები	სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, შუალედურური და დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, დემონსტრირება, ახსნა- განმარტებითი მეთოდი, ვერბალური მეთოდი,

	წიგნზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები და სხვ.). გამოყენებული მეთოდები სრულად შეესაბამება უმაღლესი სწავლების I საფეხურის დონეს, კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს.
შეფასების სისტემა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი სახის შეფასების სისტემა: **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს **<u>არანაკლებ 21 ქულისა.</u>** გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო

	მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. სასწავლო კომპონენტი (საბაკალავრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც სტუდენტი დაიშვება ნაშრომის ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და საბაკალავრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე სტუდენტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და სტუდენტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და საბაკალავრო დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	ბაკალავრიატის კურსდამთავრებული მზად არის სიძველეთა პროფილის მქონე საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკური საქმიანობისათვის. არქეოლოგიის ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს არქეოლოგიურ გათხრებზე, მუზეუმებში, ექსპედიციებში, არქივებში, სპეციალიზებულ ლაბორატორიებში და ზოგადად, სიძველეთმცოდნეობის დარგში არსებული სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში. გარდა ამისა, არქეოლოგიის ბაკალავრს შეუძლია სწავლის გაგრძელება სწავლების შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში სხვადასხვა მიმართულებაზე.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები,), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევრები: **ზვიად კვიციანი** – ასოც. პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი ვახტანგ ლიჩელი – პროფესორი მარინე ფუთურიძე – ასოც. პროფესორი კონსტანტინე ფიცხელაური – ასოც. პროფესორი მარიკა მშვილდაძე – ასოც. პროფესორი ნინო სამსონია – ასოც. პროფესორი ლევან სილაგაძე – ასოც. პროფესორი მარიამ ახალკაციშვილი – ასისტ. პროფესორი, (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი) გიორგი დვალაშვილი – ასოც. პროფესორი (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი) ნოდარ ხოდელი – პროფესორი (მედიცინის ფაკულტეტი) ლიანა ბითაძე – ისტ. მეცნ. დოქტორი, მოწვეული ლექტორი ანა თეთრუაშვილი -არქ. დოქტორი, მოწვეული ლექტორი არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე თსუ I კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1). გარდა თსუ-ს არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკისა, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ არქეოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტთა განკარგულებაშია რეგულარულად მოქმედი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა (არქეოლოგიური ძეგლები), ახლადმოპოვებული და მუდმივად შევსებადი არქეოლოგიური მასალა, კომპიუტერული ტექნიკა, თსუ-ს ბაზაზე ახლადჩამოყალიბებული არქეოლოგიური ლაბორატორია, სადაც უზრუნველყოფილია მოპოვებული არქეოლოგიური

	მასალის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. გარდა ამისა, არქეოლოგიის პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებით, უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში განთავსებული რესურს-ცენტრებით. თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	არქეოლოგიის პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ფართო საერთაშორისო კავშირები. პროფესორები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და ერაზმუს+-ის გაცვლით პროგრამებში. მათ გააჩნიათ მრავალი პუბლიკაცია უცხოურ ჟურნალებში. არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა მთელ რიგ უცხოურ უნივერსიტეტებთან თუ კვლევით ცენტრებთან. ამასთანავე, არქეოლოგიის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები აქტიურად იღებენ მონაწილეობას ერაზმუს+-ის გაცვლით პროგრამებში და არქეოლოგიურ გათხრებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სტუდენტს საშუალება აქვს ჩაერთოს როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ექსპედიციებში და მიიღოს საერთაშორისო გამოცდილება. ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის სწრაფ პროგრესს და მათ ინტეგრაციას საერთშორისო სამეცნიერო სივრცეში. წარმატებულ

	სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში, რომელიც მათთვის ტარდება ყოველწლიურად.